

# დიმიტრი ლორთქიფანიძე - მწვანე ენერჯეტიკა ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია

 [interpressnews.ge/ge/3-nino-burjanadze-demokratiuli-modzraoba/399599-dimitri-lorthqifanidze-mtsvane-energetika-chveni-prograr](http://interpressnews.ge/ge/3-nino-burjanadze-demokratiuli-modzraoba/399599-dimitri-lorthqifanidze-mtsvane-energetika-chveni-prograr)

„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნაძალადევის N18 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღო „მწვანე ალტერნატივის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელსაც ასევე სხვა პოლიტიკურ პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ წინასაარჩევნო პროგრამაში აპირებს „მნიშვნელოვანი იდეების განხორციელებას, რაც გულისხმობს განახლებადი, ალტერნატიული ენერჯორესურსების გამოყენებას, როგორც არის მზის ენერჯია, ქარის ენერჯია და გეოთერმული წყლები“.

„ამ გზით, შეასაძლებელი იქნება საბიუჯეტო შენობების ენერჯოზრუნველყოფის წლიური ხარჯის (200 მილიონი ლარი) განახევრება. ამავე დროს, სათბობ ენერჯეტიკაში საშუალო მასალის 25%-იანი ხვედრითი წილის მნიშვნელოვნად შემცირება. „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ მხარს უჭერს ჰიდრო-ენერჯორესურსების მაქსიმალურად რაციონალურ ათვისებას, როგორც განახლებადი ენერჯიის ძირითადი წყაროს, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება გიგანტური კაშხლების მშენებლობას და სხვა ენერჯოპროექტებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნის გარეშე,“ - განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე - მწვანე ენერჯეტიკა ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია